№ 284

კვირა, 31 დეკემბერი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

გაზეთის ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

№ 284

კვირა, 31 დეკემბერი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

ამ ნომერში ექვსი გვერდია

## ქართული თეატრი

კვირას, 31 დეკემბერს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ,

ქალბატონთ: საფაროვ-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელისა, ტასო აბაშიძისა, ნებიერიძისა, მდივანისა, გარელისა; ბ-ნთ: აბაშიძისა, მესხისა, სვიმონიძისა, გამყრელიძისა, გედევანოვისა, შათირიშვილისა, კანდელაკისა, ავალიანისა, ურუშაძისა, მირიანოვისა, გუნიას და სხვათა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

მხიარული კომედია 4 მოქმედებად

## ა ლ ლ უ მ ი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზედ.

წარმოდგენა გათავდება სწორედ 11 საათზედ.

რეჟისორი ვ. გუნია

2 იანვარს 1901 წელს შესდგება საიუბილეო წარმოდგენა.

## „ი ვ ე რ ი ა"

გამოვა 1901 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტ ფ ი ლ ი ს ი,

„ივერიის" რედაქცია,

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრც. საზოგადოების" კანცელარიას

სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა და

ბაქოში, ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ქალანთაროვის ქარვასლის პირ და-პირ.

ტელეფონი № 227.

სატელეგრაფო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА".

შეღავათი წლიურ ხელის-მომწერთათვის: ვინც გაზეთს ამ თავით მთელის წლით დაიბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელ-მოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს ამგვარად: ხელის მოწერის დროს 3 მან., პირველ მარტს—2 მან., პირველ მაისს—3 მან. და პირველ სექტემბერს—2 მან. სოფლის მასწავლებელთ გაზეთი წელიწადში 8 მანეთად დაეთმობათ, ნახევარის წლით—4 მან.

## ი ყ ი დ ე ბ ა

ხმელი წიფლის და რცხილის სხვილი შეშა

## თ ა ვ. ი. ჯ. ნ ა კ ა შ ი ძ ი ს ა

მოლითის მამულიდგან საქენობით და ვაგონებით, ტფილისში, გ. ი. სერებრიაკოვის ხე-ტყის საწყობში, სამეურნეო სკოლის პირდაპირ.

(3—274—2)

შაბათს, 6 იანვარს 1901 წ.

ტფილისის „კ რ უ ჟ ო კ ი ს" დარბაზში გამართულ იქნება

## ბ ა ლ ი

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის თანხის გასაძლიერებლად.

ბილეთი ღირს **2** მ. **10** კ.

ქალებისათვის გულ-ამოჭრილი კაბა სავალდებულო არ არის. სამხედრო კაცთათვის ჩვეულებრივი ტანისამოსი და დანარჩენთათვის ფრაკი და ნაციონალური ტანისამოსი.

ბილეთები იყიდება „კრუჟოკის" შვეიცართან. (უ.)

## სამკურნალო კაბინეტი

დ ო ქ ტ ო რ ი ს

## ი. იაკ. გოკიელისა,

იღებს ვენერიულ (სიფილისი), საშარდე, კანის და შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. წამლობა ნერვების სისუსტისა ელექტრონით.

ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—12 ს. და საღამოს 5—8 საათამდე.

მიხეილისა და ნემეცთა ქუჩების კუთხე, № 81, სლივიცკის სახლი. შესავალი ნემეცთა ქუჩიდგანა აქვს.

(100—256—10)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ქ. ი. ზძელიშვილი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**გ. ა. თარხანოვი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არშანიტაკი**—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დ ი ლ ი თ:

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.

**ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე**—ბავშვებისა 11—12.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი,** საქირურგო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

საღამოთი:

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## ახალი ამბავი

*** პირველ იანვრიდგან ყველა სახელმწიფო რკინის გზაზედ არსდება ახალი დაწესებულება—შემოსავლის გამგე განყოფილება. გზათა სამინისტროს უკვე შეუმუშავებია ამ განყოფილების შტატები. სხვათა შორის, ქალებს შემდეგის თანამდებობათა მიღება შეეძლებათ ამ განყოფილებაში: უმცროს მეანგარიშისა, კანტრალიორებისა, კანტორის გამგეებისა, ჟურნალისტებისა და გადამწერთა.

*** დღეს, 31 დეკემბერს, ქართულ თეატრში ყველა ჩვენის არტისტების მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება კომედია „ალლუმი". წარსულ ხუთშაბათს წარმოდგენისათვის (ეს წარმოდგენა არ შესდგა) ნაყიდი ბილეთებით დღეს შეიძლება თეატრში შესვლა.

*** როგორც სატახტო ქალაქების გაზეთები გადმოგვცემენ, ახალის წლიდგან ახალი შვიდ და თოთხმეტ კაპეიკიანი მარკები იქმნება შემოღებული.

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ტფილისის ცხენის რკინის გზის დირექტორმა ბ-ნმა რობიმ სთხოვა ქალაქის გამგეობას მიუზომოს ადგილი ავლაბარში დეპოსა და თავლის გასამართავად განზრახულ ავლაბარ-ნავთლუღის ცხენის რკინის გზისათვის. ქალაქის გამგეობის მინდობილებით, მიწის მზომელს ასეთ ალაგად დაუსახელებია მიწის ნაჭერი ქალაქის გადამდებ სენის ავადმყოფთა თავშესაფარის მახლობლად. სასანიტარო ინსპექტორს ამის გამო გამგეობისათვის მოხსენება წარუდგენია, რომელშიაც ამბობს, რომ საავადმყოფოს მახლობლად შეუძლებელია დეპოსა და საჯინიბოს გამართვაო.

*** ტფილისის გუბერნიის საეკლესიო-სამრევლო სკოლებისათვის მომავალ 1901 წ. ამიერ-კავკასიის საეროვნო თანხიდგან 7,100 მანეთი გადაუდვიათ.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქს ლაპარაკი აქვს ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის გადაკეთების შესახებ.

*** როგორც „კავ."-ი გადმოგვცემს, ქუთაისის საგუბერნიო მთავრობის მიერ აღძრული შუამდგომლობა 8,084 მ. 14 კ. გადადების შესახებ ლეჩხუმის მაზრაში, სოფ. დერჩთან ხის ხიდის გამართვისათვის, კავკასიის უმაღლეს მთავრობას შეუწყნარებია.

*** 28 დეკემბერს, სხდომაზედ, ქალაქის გამგეობამ დაადგინა მისცეს ნება სავაჭრო სახლს „არზუმანიანცის შვილთა" ციციანოვის აღმართზედ ასასვლელ-ჩამოსასვლელ მანქანის გამართვისა.

*** გამგეობას აზრადა აქვს განზრახული პუშკინის სახელის წიგნთსაცავისათვის მეორე სართული დაადგას ქალაქის სახლს ალექსანდრეს ბაღში. გეგმის და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა გამგეობის აღმაშენებელ განყოფილებას მიენდო.

*** ტფილისში ქართველ ქალთა ერთ წრეს განუზრახავს გამართოს წარმოდგენა სცენის მოყვარეთა დახმარებით ქართველ სტუდენტთა სასარგებლოდ. („ცნ. ფურ.")

*** ქალაქის გამგეობის წევრს თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს შედგენია მოხსენება ტეხნიკოსთა შტატის გადიდების შესახებ. ტეხნიკოსები საჭირონი არიან ქალაქის მიწების გაწეს-რიგებისა და გეგმის შედგენისათვის.

*** ტფილისში მეხუთე მომრიგებელ სასამართლოს დაარსება მთავრობის მიერ შეწყნარებულ იქმნა. („ახ. მიმ.")

*** ტფილისის საეპარქიო სასწავლებლების მეთვალყურედ ნამყოფი ბ-ნი ტატიშვილი, რომელიც სარატოვის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად იქმნა დანიშნული, როგორც „ცნ. ფურ." გადმოგვცემს, სამსახურს თავს ანებებს.

*** იმავე გაზეთის სიტყვით, ტფილისის პოლიცმეისტერის თანაშემწედ ქალაქის მესამე ნაწილის ბოქაულს თავ. სიდამონოვ-ერისთავსა ჰნიშნავენ.

*** ს. მერეთი (გორის მაზრა). 26 დეკემბერს საშინელი დასავლეთის ქარი ამოვარდა. როგორც აქ, ისე ახლო-მახლო სოფლებში, მრავალი ხილის ხეები და ასწლოვანი მუხები ჩაამტვრია, სახლების სახურავები დაგლიჯა, ცხინვალსა და გორს შუა ეტლები შეაჩერა და სხ. ქარის ქროლამ 5 საათს გასტანა. კიდევ კარგი, რომ არა თოვლდა, თორემ ბევრს მგზავრს აზარალებდა. მოხუცებულები ამბობენ, ასეთი საშიში ქარი ჩვენს მოსწრებაში არ გვახსოვსო.

*** როგორც მკითხველებმა უწყიან, ტფილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი, მამა სტეფანე, დანიშნულ იქმნა ამავე სემინარიის რექტორად. ახლა, როგორც „ტფ. ფურც." იუწყება, სემინარიის ინსპექტორის თანამდებობის აღსრულება დროებით მიუნდვიათ ამავე სემინარიის მასწავლებლის ნ. დ. მახათაძისათვის.

*** გაზეთ „კავკ."-ს სიტყვით, ბათუმის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე ე. ი. რუდანოვსკი დანიშნულ იქმნა განჯის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგად.

*** როგორც „ახ. მიმ."-ს ზუგდიდიდგან სწერენ ამ დეკემბერს ზუგდიდის მაზრაში შემდეგი ციმბირიდგან გამოქცეული ავაზაკები დაუჭერიათ: ტარიელ გვათუა, იულონ გუგუნავა და ბარდღუ ცხაკაია.

*** როგორც ამავე გაზეთს შეუტყვია, შავის ზღვის პირის გუბერნიაში სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობა გაუუქმებიათ.

## ცნობები მეაბრეშუმეობის შესახებ

### VII

18/31 დეკემბერი, მარსელი. ამ წლის უკანასკნელს ნომერში ჟურნალს „Monîteur des Soies“-ს ცნობები მოჰყავს, რომ ლიონში ამ უკანასკნელს კვირაში სულ ასი ათასი კილო აბრეშუმის ძაფი გაყიდულა, ხოლო შარშან ამავე კვირაში ას თვრამეტი ათასი, და განაგრძობს: ალებ მიცემობის შესუსტება ამ დღესასწაულების კვირას ცხადად ეტყობაო. „ყოველ წელიწადს,—მაშინაცკი, როცა უფრო გახურებული ვაჭრობა ყოფილა,—შობის კვირამ ასე იცის: როგორც დამზადებული საქონლის (ქსოვილების), ისე პირველი მასალისა (პარკისა, ძაფისა) გასაღება, სყიდვა-გასყიდვა, უკიდურესად შემცირებულიაო. ეს 1900 წელიც მიიწურა, განაგრძობს ჟურნალი, და დღეს შეგვიძლიან ვთქვათ, რომ მას, გარდა მცირეს ხნით ოქტომბერში გალიმებისა, თავიდგან ბოლომდის საქონლის მეპატრონეთათვის ზარალის მეტი არა მოუტანია-რაო. და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, როცა ვხედავთ, რომ ამ წელიწადში ფასებმა, წინანდელთან შედარებით, ოცდა ათი პროცენტი (30%) ძირს დაიწიაო“.

ჟურნალს იმედი აქვს, რომ ფასები ამაზე მეტად მაინც აღარ დავარდება და არ გამართლდება მოლოდინი ამის მოსურნეთა. საბუთად ჟურნალს ის მოჰყავს, რომ დღეს ევროპის აბრეშუმი, როგორც ქსელი, ისე მისაქსოველი ბევრი არ არის, ხოლო ფასები, შედარებით, დაბალია. გარდა ამისა, აღმოსავლეთის საბრეშუმო ქვეყნები ჩინეთი და იაპონია—თავისს საწარმოებს ხელს უჭერს. შანჰაიში, მაგალითად, „მარსელის სემაფორის“ სიტყვით (29 დეკემბრიდგან), დღეს ჩვიდმეტი ათასი ცალი აბრეშუმის ძაფი აწყვია, მაშინ როდესაც შარშან ამ დროს მხოლოდ იყო რვა ათასი ცალი. ეს იმიტომ, რომ შარშანდელი წლის განმავლობაში იქიდგან ევროპაში გადმოტანილა ორმოცდა ცხრამეტი ათასი ცალი, წელს-კი მარტო ოცდა ცამეტი ათასი.

საზოგადოდ წრევანდელი ალებ-მიცემობის შესუსტება, წინა წლებთან შედარებით, ძაფის ვაჭრობით ასე გამოიხატა: ევროპის თვრამეტ უმთავრესს სავაჭრო ადგილას 1898 წელში გაყიდულა ოცი მილიონი და 878 ათასი კილო აბრეშუმი (ერთ მილიონ და მესამედამდის ფუთი); 1899 წლის განმავალობაში ოც და სამი მილიონი და 621 ათასი კილო, ხოლო 1900 წელს—ცხრამეტი მილიონი და 142 ათასი კილო, ე. ი. შარშანდელთან შედარებით, ცხრამეტი პროცენტით ნაკლები. წრევანდელის წლის სისუსტეს აბრეშუმეულობის ვაჭრობაში უფრო ცხადად გამოჰხატავს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაზიდული აბრეშუმის ძაფის რაოდენობა ამ სამის წლის განმავალობაში:

1898 წელს გაუტანიათ 57,515 ცალი ანუ 3,770,000 კილო; 1899 წელს გაუტანიათ 77,414 ცალი ანუ 5,000,000 კილო; 1900 წელს გაუტანიათ 52.000 ცალი 3,375,000 კილო, რაც შეადგენს ოცდა ცამეტი პროცენტით (33%) ნაკლებს შარშან გატანილ ძაფთან შედარებით.

ნ. წ.

## ქართული საღამო.

(წერილი კავკავიდგან).

წელსაც ჩვეულებისამებრ, შობა-ღამეს კავკავის ქართული სკოლის დარბაზში, ამავე სკოლის სასარგებლოდ, გამართული იქმნა ქართული საღამო ბაზრით. წრევანდელი საღამო, როგორც შემოსავლით, ისე მოწყობილობით სხვა დროს გამართულ საღამოებისაგან ბევრად განირჩეოდა. სრული შემოსავალი უდრის 1550 მანეთს; მცირედი ხარჯის გარდა, წმინდა შემოსავალი ათას ოთხას მანეთამდე იქნება, რაც, რასაკვირველია, დიდად სანუგეშო და სასახელოა ამ საღამოს გამართვაში მონაწილეთათვის. საღამოზედ ქართული სასწავლებელი კოხტად იყო მორთული: სკოლის გაფართოებულ დარბაზის დერეფნის კედლები და თვით დერეფანიც მორთული იყო დეკორატიულის მცენარეებით, ნაძვის შტოებით, სხვა-და-სხვა დასაკრავ და საომარ იარაღებით, გაგუდულ მხეცებითა და ფრინველებით; ესენი ყველა კარგს გემოზედა და ხელოვნურად იყო შესაფერისს ადგილას ჩამწკრივებული. დერეფნის ერთი კუნჭული მორთული იყო ძვირფასის ხალიჩებით, ნოხებით სასტუმრო ოთახად, რომლის კედლებს ამშვენებდენ საქართველოს შესანიშნავი მწერლებისა და ისტორიული პირების სურათები, მეორე კუნჭულში გამართული იყო ქართული დუქანი სხვა-და-სხვა სანოვაგით სტუმართათვის; ერთს ოთახში მოთავსებული იყო ევროპიულს გემოზედ მოწყობილი ბუფეტი. ბევრი ქართველთაგანი საღამოზედ გამოწყობილი იყო წითელს ჩოხებსა და სხვა ეროვნულს ტანისამოსში, რომელიც, სხვათა შორის, ხელს უწყობდა ქართულს საღამოს საზოგადო შთაბეჭდილებას.

ამავე ღამეს, 25 დეკემბერს, კავკავში სხვა ადგილასაც იყო დანიშნული საზოგადო გასართობი საქველმოქმედო აზრით; ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენს საღამოს მცირე საზოგადოება დაესწრებოდა, რაც დიდად აფიქრებდა და აღონებდა საღამოს გამკებლებს, მაგრამ, მიუხედავად ამ გარემოებისა, დანიშნულს დროს აუარებელი ხალხი მოაწყდა სასწავლებლის დარბაზს, ასე რომ ახლად გაფართოებული შენობაც-კი ვიწროდა სჩნდა. ქართველთა გარდა, საღამოზედ შენიშნავდით ყველა ჯურისა და ეროვნების ხალხს: რუსს, ბერძენს, სომეხს, ოსს, ურიას, სპარსელს. სასწავლებლის საღამოზედ ბრძანდებოდა თვით თერგის ოლქის უფროსიც თავისის სახლობით, რომელმაც საზოგადო მორთულობა საღამოსი დიდად მოიწონა. ბ-ნმა თერგის ოლქის უფროსმა მთელი საათი დაჰყო სასწავლებელში და ნასიამოვნები დაბრუნდა.

რასაკვირველია, ჩვენ, ქართველებს გულუხვობა და სტუმართ-მოყვარეობა არ გვაკლია; სტუმრის მიგებება და დახვედრაც შეგვიძლიან დაურცხვენლად და საზოგადო ცხოვრებაში წესიერება საც თანდათან ვეჩვევით, მაგრამ ამასთან შევნიშნეთ არა მარტო ქართველებში, არამედ კავკავის ყველა მცხოვრებლებში ერთი ფრიად სიმპატიური თვისება, რომელიც ღირსია ყურადღებისა და ჩვენც საჭიროდ მიგვაჩნია ამ თვისებას ყურადღება მივაქციოთ: ყველა ადამიანში, მიუხედავად ეროვნებისა, თუ რომ იგი აღჭურვილია ნამდვილის ადამიანურის გრძნობით, არსებობს საზოგადო აზრი, იდეა სიკეთისა, ქველმოქმედებისა და საზოგადოდ კეთილის საქმის სიყვარული; ეს დედა აზრი, ეს კეთილი განზრახვა და მისწრაფება ანათესავებენ და აკავშირებენ ერთად სხვა-და-სხვა ერსა და წოდებათ, რომლებიც სხვაფრივ ბევრით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამ საზოგადო დედა აზრის, იდეის მეოხებით მტკიცედ შეკავშირდებიან ხოლმე ერთმანეთთან წინ მსვლელობის გზაზედ სხვა-და-სხვა ერნი. ამ საზოგადო აზრის განსახორციელებლად აპარეზად, სადაც იდეა, სიტყვა საქმედ იქცევა, უპირველეს ადგილად ჩვენ სასწავლებელი და მის კეთილდღეობისათვის ზრუნვა მიგვაჩნია. კავკავის საზოგადოებას, ეროვნობის განურჩევლად, კარგადა აქვს შეგნებული კავკავის ქართული სკოლის მდგომარეობა, აქაური ქართველების უმეტესი ნაწილის ნივთიერად დაქვეითება; აქაური მცხოვრებლები ყველა ეროვნებისა კარგად იცნობენ ამ სასწავლებელს, იციან ისიც, თუ როგორის მომზადებით შედიან ამ სასწავლებელში ბავშვები და რა სარგებლობა მოაქვს მას ადგილობრივის მკვიდრთათვის და საზოგადოდ ქალაქის მცხოვრებლებისათვის. გულ კეთილი მცხოვრებლები ქ. კავკავისა, ეროვნობის განურჩევლად, მზად არიან ყოველთვის, რითაც-კი შეუძლიათ, კავკავის ქართულ სასწავლებელს დახმარება აღმოუჩინონ და ამ ნაირად მოიხადონ ზნეობრივი ვალი მცირედის მოძმის წინაშე. ვისურვებთ, რომ აქაური სახელ-განთქმული ქართული საღამო მომავალშიაც ასეთი გამამხნევებელი იყოს მკვიდრთა კეთილი აზრებისა; ვისურვებთ, რომ იდეა საზოგადო საქმის სიყვარულისა სხვა-და-სხვა ერთა შორის შეკავშირებისა მომავალშიაც უფრო განმტკიცებულიყოს.

კავკავის ქართულ სასწავლებელში ას სამოც-და-ათამდის მოწაფე სწავლობს. ამათ მშობლებში შეიძლება მხოლოდ ოც-და-ათი მოიპოვოს ისეთი, რომელთაც შეეძლოს თავისის ხარჯით შვილის გამოზრდა; დანარჩენი სულ ქვრივთა, ობოლთა და უმწეოთა შვილებია. ბევრი, სიღარიბისა გამო, სადღაც მიყრუებულ ნესტიანს სარდაფის კუნჭულში სცხოვრობს, სადაც საქონელიც-კი საცოდავია, არათუ ადამიანი. ამისთანა მივარდნილს ანტიჰიგიენურს სადგომში სცხოვრობს რამდენიმე სული ერთად. ამ სიღარიბესთან ადვილი წარმოსადგენია ისიც, თუ როგორი ჯანის პატრონი უნდა იყვნენ ეს საცოდავები. აი, უმეტესი ნაწილი ამისთანა გაჭირებულთა შვილები ჰპოულობენ სულიერს საზრდოს კავკავის ქართულ სასწავლებელში, რომელიც წარმოადგენს ყველას მიერ თანაგრძნობის ღირსს საქველმოქმედო დაწესებულებას კავკავში. ერთს დროს აქაური ქალაქის თვით-მმართველობა ყოველ წლივ 300 მანეთით შემწეობას აძლევდა ამ სასწავლებელს და ამითი ასრულებდა ერთს საუკეთესო დანიშნულებას ქალაქის თვით მმართველობისას მკვიდრთა შესახებ. შემდეგ, სახსარესა უქონლობისა გამო, ქალაქმა მოუსპო ხსენებულის შემწეობის ძლევა სასწავლებელს. ფრიად სასურველი იქნებოდა, რომ კავკავის თვით-მმართველობას ხელახლად განეგრძო ძველებურად შემწეობის ძლევა ქართული სკოლისათვის, რომელიც მეტის ღონისძიებით მეტად შეიძლებდა ადგილობრივის მცხოვრებთათვის სამსახურს კანონიერის აღზრდა-გა...

# ფელეტონი

## უპატრონო ქალაქი

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ქალაქების ბედ-იღბალს ბურთივით ატრიალებდნენ ხელში სათითაო მოხელენი, რომელთაც მთავრობა აყენებდა პოლიციის სათავეში. რაც უნდა კარგი ყოფილიყო ასეთი მოთავე, ანუ უფროსი პოლიციისა, იგი მაინც ერთი იყო და, რასაკვირველია, წვრილმან მოვალეობასაც ძლივს უძლვებოდა. იმისთვის ჭირადაცა და ლხინადაც საკმარისი იყო მარტო რიგიანი ზედამხედველობა გაეწია თავის ურიცხვ ხელქვეითებისათვის და შეძლებისამებრ აელაგმა მათი ნავარდობა. ქალაქის ბედი-კი სრულიად თავ-მინებებული იყო და მისთვის გული არავის შესტკიოდა. ხოლო უკეთუ ეს უფროსი გამსჭვალული იქნებოდა თავისის ჯიბის კეთილ-დღეობით, მაშინ ქალაქს ატყდებოდა თავს სრული უმწეობა, უბედურება, ძარცვა გლეჯა და ათასი ამგვარი დარდუბალა. ამასთანავე, რადგანაც ადრინდელ დროში მომეტებულ ნაწილად უფროსებს თითქმის მარტო ასეთი ჭვალი ედგათ, ამის გამო ქალაქები ერთობ შეხუთულები იყვნენ და ძლივს-ღა იბრუნებდნენ სულს სილატაკისა, უმეცრებისა და სიბნელის ბრჭყალებში.

ცალკე ამნაირმა უნუგეშო ყოფამ ქალაქებისამ, ცალკეც ბედნიერმა მაგალითმა ევროპისა და ამერიკისამ დაჰბადა რუსეთში ბრწყინვალე აზრი, რომ სამოქალაქო მოღვაწეობის სარბიელზედ გამოწვეულ ყოფილიყვნენ თითონ მოქალაქენივე, რაკი ამათ უფრო უკეთ შეეძლოთ ენაღვლათ საკუთარ კეთილდღეობის აღორძინებისა და გაძლიერებისათვის. აქედგან წარმოსდგა სრულიად ახალი წესი ქალაქების მართვა გამგეობისა. ამ წესმა მიანიჭა ქვეყანას ეგრედ წოდებული სამოქალაქო დებულება. „ქვეყანას“-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ქვეყნის დიდება მჭიდროდ არის დამოკიდებული ქალაქების ძლიერებისა და სიკეთისაგან.

სამოქალაქო დებულების ქვა-კუთხედს, მის დედა-აზრს შეადგენს ქალაქის წარმომადგენელთა და მათ შორის მოხელეთა ამორჩევა. კანონი ეუბნება მოქალაქეთ: „აი ბურთი და აი მოედანი. უეჭველია, თქვენ შორის მოიპოვებიან მცოდნე, პატიოსანი, გამოცდილი და საქმიანი კაცები. გაახილეთ თვალი, მიიხედ-მოიხედეთ, შეეკითხეთ ნაცნობსა და მეგობრებს, ერთად აიღ-დაიღეთ და გამოიყვანეთ სცენაზედ ისეთნი წარმომადგენელნი, რომელთაც შეეძლოთ მოახერხონ ნამდვილ პატრონობის გაწევა თქვენის ქალაქისა და რიგიანი გაძღოლა მის საქმეებისა. თქვენს წარმომადგენლებს ეძლევათ ოთხის წლის ვადა სამსახურისა. ვინც ამ ხნის განმავლობაში გაამართლებს თქვენს ნდობას, გამოიჩენს აშკარა უნარს საქმიანობისას და ერთგულად გასწევს საზოგადო უღელს, იმას მაგრად ჩაჰკიდეთ ხელი და კვლავაც გაჰგზავნეთ ქალაქის ავლა-დიდების პატრონად, კვლავაც მიანდეთ მას ქალაქის ბედი. ხოლო ვინც მათში აღმოჩნდეს უზრუნველი, უქმი, ანგარი, ფუყი ან ლაჩარი, მოკლებული უნარს საქვეყნო სამსახურისას, ამისთანა კაცს ქეციანი ცხვარიც არ მიანდოთ მოსავლელად, არათუ ხელმეორედ გამოსჭიმოთ თქვენს წარმომადგენელთა შორის, რომელნიც შეადგენენ საქალაქო საბჭოს“.

ამ საფუძველზედ არის აშენებული ახალი წესი ქალაქების მართვა-გამგეობისა. როგორც ჰხედავთ, საფუძველი წარჩინებულ მასალისაგან არის შეზავებული. მისი სიმტკიცე და სიმკვიდრე ადვილად უდგნობს თვით უმაღლესს კედლებს ქალაქის ბედნიერებისას, ოღონდ მათ ასაშენებლად მოიწვიეთ მცოდნე და ნიჭიერი კალატოზები, გამოცდილი ხუროთმოძღვრები და მათი გზის მაჩვენებელნი.

ეს მარტივი და თანაც მაღალი აზრია გატარებული სამოქალაქო კანონმდებლობაში. უკეთუ ამ აზრის განხორციელებას არ ეღობება წინ მოქალაქეთა უმეცრება, მაშინ ქალაქების აჩქარებულ წინმსვლელობასა და წარმატებას ველარაფერი აფერხებს. ხოლო როდესაც მოქალაქეთ არ ესმით თავიანთი უფლებანი, ვერ შეუგნიათ კანონმდებლის აზრი, მაშინ საქმე იქამდე უკუღმართად მიდის, რომ თვით ზემოხსენებული საფუძველიც-კი სამოქალაქო წესწყობილებისა აღარა სჩანს, არა თუ იმაზედ აგებული შენობა მოინახებოდეს.

ჩვენმა ტფილისმა პირველ ხანებში მართლაც ისარგებლა ახალის კანონით. მოიმხრო და ქალაქის პატრონობის საქმეში ჩააყენა უმეტეს ნაწილად ისეთი კაცები, რომელთაც ნანახი ჰქონდათ ევროპის დაწინაურებული ქალაქები და საკმარისად ჩახედულნი იყვნენ მათს კეთილდღეობის მიზეზებში, თანაც გული უცემდათ საქვეყნო სამსახურისათვის. აბა სწორედ ამიტომაც მოხდა, რომ ამათ მოღვაწეობის რაღაც ათიოდე წლის შემდეგ ჩვენმა ქალაქმა თითქმის ერთიან იცვალა ფერი და მთელ რუსეთის ქალაქთა შორის ერთი უპირველეს ადგილთაგანი დაიჭირა. ამ მოკლე ხნის განმავლობაში უმთავრესი ქუჩები მოიკირწყლა ქვებითა და შეიმოსა ქვაფენილებით, ასე რომ თვით ტალახის დროს შესაძლებელი გახდა ქალაქში უშიშრად სიარული, მაშინ როდესაც ათის წლის წინად ნამიან დღეში თავს ვერ გამოჰყოფდი გარეთ. პატარა ხანს უკან ამ ქუჩებზედ აიდგეს ფეხი რკინის გზის ვაგონებმაც და ერთი ათად გააადვილეს ხალხის მისვლა-მოსვლა ქალაქის სხვა-და-სხვა უბანთა შორის. ვაგონებს მოჰყვა მილის წყალი, რომელიც მართალია არ არის წარჩინებულ ღირსებისა, მაგრამ მაინც გაცილებითა სჯობია მტკვარის მღვრიე და ბაქტერიებით სავსე წყალსა. ბინძური და აყროლებული მოედანი შუაგულ ქალაქში, სემინარიისა და ქარვასლის შუა, შეიცვალა პატარა და კოხტა ბაღად, სადაც დღეს ათასი მგზავრი და მოსეირნე იბრუნებს სულს ყვავილებისა და მცენარეულობის სურნელებით. ამავე დროს გაიმართა ქალაქის სახალხო სკოლები, სახელოსნო სასწავლებლები ვაჟებისა და ქალებისათვის. აშენდა საქალაქო სახლები, გაიმართა მოედნები, გაკეთდა ხიდები. ერთის სიტყვით, ტფილისმა გამოიფხიზლა, მიანება თავი აზიურს უზრუნველ, მცონარე მდგომარეობას და ბეჯითად ჩაჰკიდა ხელი ევროპიულ წესწყობი-